ქართული კალათბურთი

დებულება

საუნივერსიტეტო
სპორტის
ფედერაცია

GBF

სეზონი 2023-2024

GBF.GE

თავი I - ზოგადი დებულებები

საქართველოს სტუდენტური ლიგა კალათბურთში 2023-2024 წ.წ სეზონი

მუხლი 1. საქართველოს სტუდენტური ლიგის ჩატარების უფლება
საქართველოს სტუდენტური ლიგის (შემდგომში "ჩემპიონატი") ჩატარების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია (შემდგომში "ს.ს.ს.ფ"). ხოლო თანაორგანიზატორია საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია (შემდგომში "ს.კ.ე.ფ").

მუხლი 2. ჩემპიონატის ჩატარების წესები
ჩემპიონატი ტარდება „კალათბურთის ოფიციალური წესების" და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
ჩემპიონატის ყველა მონაწილე ვალდებულია, გაეცნოს და შეასრულოს „კალათბურთის ოფიციალური წესების" და წინამდებარე დებულების მოთხოვნები.

მუხლი 3. ჩემპიონატის ორგანიზების და ჩატარების ხელმძღვანელობა
ტურნირის ორგანიზებას და ჩატარებას ხელმძღვანელობს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია, საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით.

თავი II - ჩემპიონატის ჩატარების მიზნები

მუხლი 4. ჩემპიონატის ჩატარების მიზნები
- საუნივერსიტეტო სპორტული აქტივობის გაზრდა;
- ჩემპიონატში მონაწილე სტუდენტების ოსტატობის ამაღლება და მათში ჯანსაღი ცხოვრების წესის გაძლიერება;
- უმაღლეს სასწავლებლებში და ზოგადად ქვეყანაში კალათბურთის განვითარება;
- სტუდენტი კალათბურთელების პროფესიულ კალათბურთში ჩართვა.

თავი III - გუნდებისა და მოთამაშეთა დაშვება ჩემპიონატში

მუხლი 5. გუნდების დაშვების პირობები
5.1 ჩემპიონატში გუნდები დაიშვებიან 2022-2023 წლების სეზონის შედეგების გათვალისწინებით, სულ 8 (რვა) გუნდი, ასევე წინამდებარე დებულების მოთხოვნების შესრულების პირობით, საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გადაწყვეტილებით.
5.2 ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება აქვთ ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გუნდებს, რომელთა შემადგენლობაშიც დასაშვებია იყვნენ კონკრეტული სასწავლო დაწესებულების შემდეგი საფეხურის სტუდენტები: ბაკალავრი, მაგისტრანტი, დოქტორანტი და რეზიდენტი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტუდენტთა ბაზაში.
5.3 გუნდები ვალდებულნი არიან ახალი, 2023/2024 წლების სეზონის განაცხადი, წარმოადგინონ ელექტრონული ფორმით (პირადობის მოწმობის ასლი, სტუდენტის დამადასტურებელი ცნობა, ფოტოსურათი გუნდის ფორმაში) 2023 წლის 4 დეკემბერის ჩათვლით, 23:59 სთ-მდე. ჩემპიონატის განაცხადში ჩაწერილ მოთამაშეთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 16(თექვსმეტი)-ს, ხოლო მოთამაშეების მინიმალური რაოდენობა არ უნდა იყოს 8(რვაზე) ნაკლები. ასევე მთავარი მწვრთნელი, დამხმარე მწვრთნელი არაუმეტეს 2 (ორი) პირისა და სამედიცინო პერსონალი არაუმეტეს 3 (სამი) პირისა.
5.4 თითოეულ გუნდს უფლება აქვს, დაიმატოს სხვა უმაღლესი სასწავლებლის არა უმეტეს 3 (სამი) სტუდენტისა.
5.5 ჩემპიონატში მონაწილეობა ეკრძალებათ 1994 წელს და მანამდე დაბადებულ მოთამაშეებს.
5.6 გუნდს 16(თექვსმეტი) კაციან განაცხადში არ შეუძლია შეიყვანოს სუპერლიგის და "ა" ლიგის (2023-2024 წ.წ. სეზონი) განაცხადში მყოფი მოთამაშეები, ასევე უცხოეთის საკალათბურთო ჩემპიონატების მონაწილეები.
შენიშვნა: აღნიშნული მუხლი ძალაშია, ოდესაც დაწყებული ზემოთ აღნიშნული ჩემპიონატების სეზონი.
5.7 იმ სტუდენტებს, რომლებსაც 2023 წლის სექტემბრამდე შეჩერებული აქვთ სტუდენტის სტატუსი, ჩემპიონატში მონაწილეობა ეკრძალებათ.
5.8 ჩემპიონატში მონაწილე გუნდებმა ყველა ფინანსური ანგარიშსწორება უნდა განახორციელონ ს.ს.ს.ფ-ის საბანკო ანგარიშზე.

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია
საიდენტიფიკაციო კოდი: 204891171
მისამართი: წინანდლის ქ. N9 თბილისი, საქართველო
ბანკი: ს/ს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE 22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE23TB7095736020100007
ელ. ფოსტა: usf.georgia@gmail.com
ტელეფონი: 555 94 99 59

მუხლი 6. მოთამაშეთა და მწვრთნელთა დამატება განაცხადში
6.1 სტუდენტურ ლიგაში მონაწილე გუნდიდან გუნდში მოთამაშეთა გადასვლა შესაძლებელია პირველი წრის დასრულებიდან მეორე წრის დაწყებამდე (განაცხადში დარჩენილი ადგილის რაოდენობის შესაბამისად).

6.2 გუნდს უფლება აქვს, დაიმატოს არალიცენზირებული მოთამაშე, სტუდენტური ლიგის პირველი წრის დასრულებიდან მეორე წრის დაწყებამდე (განაცხადში დარჩენილი ადგილის რაოდენობის შესაბამისად).
6.3 მოთამაშეზე გაცემული ლიცენზია, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა მოთამაშემ მონაწილეობა სტუდენტური ლიგის მატჩში, გუნდს ეთვლება 16-კაციან ლიმიტში. მის ნაცვლად დამატებითი ლიცენზია არ გაიცემა.
6.4 სტუდენტურილიგის მსვლელობისას, ნებისმიერ დროს, გუნდს შეუძლია დაიმატოს არალიცენზირებული მწვრთნელი.
შენიშვნა: *სტუდენტური ლიგის გუნდების 16 (თექვსმეტი) კაციან განაცხადში დაფიქსირებულ მოთამაშეთა გუნდიდან გუნდში გადასვლა, არაიცენზირებული მოთამაშის ან/და 16 (თექვსმეტი) კაციან განაცხადში დარჩენილ თავისუფალ ადგილზე მოთამაშების დამატება აკრძალულია ზემოთ ჩამოთვლილი ვადების გარდა სხვა დროს.*
6.5 ჩემპიონატის მონაწილე არც ერთ მოთამაშესა და მწვრთნელს არ აქვს უფლება ერთდროულად ირიცხებოდეს 2 (ორი) გუნდის განაცხადში.

მუხლი 7. გუნდის შემადგენლობა
7.1 გუნდს თამაშის განაცხადში შეუძლია შეიყვანოს და მატჩზე წარადგინოს გუნდის განაცხადში მითითებული 12(თორმეტი) მოთამაშე, არანაკლებ 8(რვა) მოთამაშისა.
7.2 თითოეულ გუნდს უნდა ჰქონდეს სათამაშო ფორმის მინიმუმ ორი კომპლექტი, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ მიღებულ „სათამაშო ფორმის სტანდარტის" მოთხოვნებს. ერთი კომპლექტი – ღია ფერის და მეორე კომპლექტი – მუქი ფერის. მაისურებზე დასაშვებია ნომრები 00, 0-დან 99-მდე, ხოლო გვარი ქართული შრიფტით (უცხო ენაზე – "ს.ს.ს.ფ"-თან შეთანხმების შემთხვევაში). სათამაშო ფორმის სტანდარტი: იხილეთ დანართი #1
7.3 იმ შემთხვევაში, თუკი თამაშში მონაწილეობას მიიღებს მოთამაშე ან მწვრთნელი, რომელსაც უნდა გამოეტოვებინა იგი დისკვალიფიკაციის გამო, გუნდს ეთვლება წაგება „უფლების ჩამორთმევით".

თავი IV - ჩემპიონატის ჩატარების სამართლებრივი ასპექტები

მუხლი 8. საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის უფლებები
ჩემპიონატის მატჩებში მონაწილე გუნდებმა უნდა აღიარონ ს.ს.ს.ფ-სა და ს.კ.ე.ფ-ის შემდეგი უფლებები:
8.1 ჩემპიონატის მატჩების ტელეტრანსლაციებზე.
8.2 მარკეტინგულ და სალიცენზიო უფლებები ტურნირის ლოგოზე, სიმბოლიკაზე, ოფიციალურ დევიზსა და დასახელებაზე, სავაჭრო ნიშნებსა და სავაჭრო მარკებზე.
8.3 ს.ს.ს.ფ-ს მიერ დამზადებულ პოლიგრაფიულ, სუვენირულ, თუ სხვა სახის პროდუქციაზე განთავსებულ რეკლამაზე.
8.4 ტელე, ვიდეო და ფოტომასალის გამოყენებაზე, რომლებიც ასახავს მატჩებს, ერთიანად თუ ცალ-ცალკე, მოთამაშეთა გამოსახულების ჩათვლით.

მუხლი 9. გუნდის უფლებები
ტურნირის მსვლელობისას თითოეულ გუნდს უფლება აქვს:
9.1 საშინაო მატჩები ჩაატაროს საკუთარ სპორტულ დარბაზში (თუ გუნდს ასეთი გააჩნია, დარბაზი აკმაყოფილებს "კალათბურთის ოფიციალურ წესებში" აღნიშნულ მოთხოვნებს და დამტკიცებულია ს.კ.ე.ფ-ის სპეციალური კომისიის მიერ).
9.2 აწარმოოს თამაშების სატელევიზიო ტრანსლაციები ადგილობრივ ტელეარხებზე, კლუბსა, ს.ს.ს.ფ-ს და ს.კ.ე.ფ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
9.3 საშინაო მატჩებზე მოახდინოს ბილეთების რეალიზაცია.
9.4 დამოუკიდებლად განკარგოს სახსრები, რომლებსაც მიიღებს საშინაო მატჩების დროს საკუთარი უფლებების რეალიზაციით.

მუხლი 10. გუნდის ვალდებულებები
ტურნირის მატჩების ჩატარებისას თითოეული გუნდი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი პირობები:
10.1 გამოუყოს "ს.ს.ს.ფ"- ს 30 ადგილი თითოეულ მატჩზე იმ სპორტულ ნაგებობაში, სადაც მიმდინარეობს ჩემპიონატის მატჩები.
10.2 წარადგინოს "ს.ს.ს.ფ"-ში გუნდის ოფიციალურად რეგისტრირებული სიმბოლიკა.
10.3 ს.ს.ს.ფ-ის შეტყობინებისთანავე უზრუნველყოს მწვრთნელთა და მოთამაშეთა აუცილებელი დასწრება საქართველოს სტუდენტური ლიგის მატჩისწინა და მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციებზე.
10.4 უზრუნველყოს მწვრთნელთა და მოთამაშეთა მიერ ინტერვიუს მიცემა საქართველოს სტუდენტური ლიგის მატჩების ტელეტრანსლაციების მიმდინარეობისას.
10.5 მოთამაშე, რომელსაც მატჩისწინა მოთელვაზე და გუნდის წარდგენაზე არ ეცმევა გუნდის სათანადო ფორმა, თამაშზე არ დაიშვება.

თავი V - მოთხოვნები კლუბის (გუნდის) მიმართ

მუხლი 11. მოედანი და აღჭურვილობა
11.1 სპორტული ნაგებობები და აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს „კალათბურთის ოფიციალურ წესებში" აღწერილ მოთხოვნებს.
11.2 ტურნირის მატჩები გაიმართება "ს.კ.ე.ფ"-ის საგანგებო კომისიის მიერ მიღებულ სპორტულ დარბაზებში. დარბაზის ტევადობა – მინიმუმ 300 (სამასი) დასაჯდომი ადგილი.
11.3 ტურნირის მატჩები ჩატარდება ბურთით - SPALDING ან MOLTEN.
11.4 თამაშის მსვლელობისას მუსიკალური ინსტრუმენტების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ მსაჯთა მაგიდის და გუნდების სკამების მოპირდაპირე მხარეს მდებარე ტრიბუნაზე.
11.5 ტურნირის მატჩების გადაღება უნდა იქნას უზრუნველყოფილი მასპინძელი გუნდების მიერ. დაუმონტაჟებელი მასალა მაქსიმუმ 2 დღის შემდეგ უნდა გადაეცეს მოწინააღმდეგე გუნდსა და საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ხელმძღვანელობას.
11.6 კლუბი ვალდებულია, მსაჯ-მდივნების მაგიდა აღჭურვოს შემდეგი ინვენტარით:
- სტატისტიკის პროგრამის მუშაობისთვის ერთი კომპიუტერი და ერთი პრინტერი.
- მსაჯთა მაგიდის ტექნიკური ინვენტარი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ინტერნეტით.

მუხლი 12. გასვლითი შეხვედრები
მასპინძელმა გუნდმა სტუმარ გუნდს უნდა გამოუყოს:
12.1 სტუმარი გუნდის წინასწარი განაცხადის საფუძველზე, ტრანსპორტი მატჩის ჩატარების ქალაქის სადგურში ან აეროპორტში დახვედრისა და გაცილებისთვის, აგრეთვე ვარჯიშზე, მატჩზე და უკანა მიმართულებით მისაყვანად. ტრანსპორტის ხარჯებს იხდის სტუმარი გუნდი. წინასწარი განაცხადი უნდა გაკეთდეს ჩასვლის დღემდე არანაკლებ 7 დღით ადრე. იმ შემთხვევაში, თუკი წინასწარი განაცხადი არ გაკეთდა, ან გაკეთდა დაგვიანებით, სტუმარი გუნდი ტრანსპორტის საკითხს წყვეტს დამოუკიდებლად.
12.2 სასტუმროს ნომრები, სტუმარი გუნდის წინასწარი განაცხადის საფუძველზე. სასტუმროს ხარჯებს იხდის სტუმარი გუნდი. წინასწარი განაცხადი უნდა გაკეთდეს ჩასვლის დღემდე არანაკლებ 7 დღით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი განაცხადი არ გაკეთდა, ან გაკეთდა დაგვიანებით, სტუმარი კლუბი საცხოვრებლის საკითხს წყვეტს დამოუკიდებლად.
12.3 სპორტული დარბაზი ვარჯიშებისთვის (არანაკლებ ერთი საათი) თამაშის დაწყებამდე არაუგვიანეს 24 საათისა და თამაშის დღეს არაუგვიანეს 7 საათისა (არანაკლებ 45 წუთი) იმ დარბაზში, სადაც იმართება თამაში.
12.4 6 (ექვსი) სათამაშო ბურთი ვარჯიშებისთვის.
12.5 სასმელი წყალი. ყოველი თამაშისთვის ერთ გუნდზე გაანგარიშებით 16 ცალი 0,5-ლიტრიანი ბოთლი.
12.6 ტურობრივი სისტემის დროს, ადგილები სათამაშო დარბაზში შეჯიბრების მონაწილეთათვის.

მუხლი 13. ტურნირის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნები
13.1 მასპინძელი კლუბი პასუხისმგებელია ტურნირის მატჩის მსვლელობისას მისი მონაწილეების (ს.ს.ს.ფ-ს და ს.კ.ე.ფ-ის წარმომადგენლები, კომისარი, მსაჯები, მსაჯი-მდივნები, მწვრთნელები, გუნდის წარმომადგენლები) უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე თამაშის ჩატარების ზონაში მის დაწყებამდე, მიმდინარეობისას და დამთავრების შემდეგ.
13.2 თამაშის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გეგმაში უნდა შედიოდეს:
13.2.1 ს.ს.ს.ფ.-ს და ს.კ.ე.ფ-ის წარმომადგენლების, კომისრის, მსაჯების, მსაჯი-მდივნების, სტუმარი გუნდის წარმომადგენლების, მწვრთნელების, სამედიცინო პერსონალის, მოთამაშეების დაცვა, მათი აეროპორტში (სადგურში) ჩასვლის მომენტიდან; მათი თანხლება საცხოვრებელ და მატჩის ჩატარების ადგილებამდე.
13.2.2 ზემოაღნიშნული პირების დაცვა მატჩის დამთავრების შემდეგ, მათი თანხლება საცხოვრებელ და გასამგზავრებელ ადგილებამდე.
13.2.3 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებების გატარება თამაშის ჩატარების ზონაში მის დაწყებამდე, მიმდინარეობისას და დამთავრების შემდეგ.
13.2.4 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებების გატარება ს.კ.ე.ფ-ის წარმომადგენლების, კომისრის, მსაჯების, სტუმარი გუნდების მწვრთნელების, მოთამაშეების და სამედიცინო პერსონალის საცხოვრებელ ადგილზე.
13.2.5 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებათა გატარება დარბაზში გუნდების განთავსების ადგილებში.
13.2.6 თამაშის ჩატარების ზონაში აკრძალულია:
- ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა და მიღება;
- ნებისმიერი სახის სასმელის შეტანა და გაყიდვა მინის ბოთლებში;
- თამბაქოს მოწევა საგანგებოდ გამოყოფილი ადგილების გარდა;
- სათამაშო მოედანზე ნებისმიერი საგნის სროლა;
- მსაჯების, მოთამაშეების და მატჩის სხვა მონაწილეთა შეურაცხყოფა, მათ მიმართ მუქარა
  სიტყვიერი თუ სხვა ნებისმიერი ფორმით.
ზემოთ აღნიშნული წესების დაცვაზე პასუხისმგებელია მასპინძელი კლუბი.
13.3 მატჩის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნათა არშესრულების შემთხვევაში, რასაც მოჰყვება ინციდენტი, ს.ს.ს.ფ-ის საგანგებო გადაწყვეტილებით, შესაძლოა გამოიტანოს როგორც საჯარიმო ფულადი სანქციები, აგრეთვე:
- მომდევნო თამაშის ჩატარება მაყურებელთა გარეშე;
- თამაშის ჩატარება ნეიტრალურ ან მეტოქის მოედანზე.

მუხლი 14. წარსადგენი დოკუმენტაცია (თუ გუნდი გადავა ა-ლიგაში)
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ;
- ცნობა მომსახურე ბანკიდან (ბანკებიდან) საბანკო ანგარიშზე (ანგარიშებზე) ყადაღის შესახებ;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე
(მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვისარსებობის შესახებ;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის
რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

შენიშვნა: *საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის „სუპერლიგასა" და „ა"-ლიგაში მონაწილე კლუბი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (ა(ა)იპ). (ეს რეგულაცია არ ეხება მუნიციპალურ დაფინანსებაზე მყოფ გუნდებს)*

- „სუპერლიგის" და „ა"-ლიგის გუნდებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან მხოლოდ ის გუნდები რომლებიც წარმოადგენენ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (ა(ა)იპ). (ეს რეგულაცია არ ეხება მუნიციპალურ დაფინანსებაზე მყოფ გუნდებს)
- ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ჩემპიონატის „სუპერლიგის" და/ან „ა"-ლიგის მონაწილე კლუბებს არ შეიძლება ჰყავდეთ ერთი და იგივე დამფუძნებელი/წევრი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

თავი VI - მოთხოვნები ჩემპიონატის მონაწილეთა მიმართ

მუხლი 15. მწვრთნელები, გუნდის წარმომადგენლები
15.1 მატჩის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 წუთისა, მწვრთნელებმა უნდა წარუდგინონ მატჩის კომისარს გუნდის განაცხადი, მატჩზე განაცხადის წარდგენის ვადის დარღვევის შემთხვევაში გუნდს ეკისრება ჯარიმა 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
15.2 მატჩის მსვლელობისას სათადარიგოთა სკამზე დაჯდომის უფლება აქვს თამაშის ოქმში შეყვანილ მოთამაშეებს (თორმეტი მოთამაშე), მწვრთნელთა შტაბის არაუმეტეს 3(სამი) წარმომადგენელს და მედპერსონალის არაუმეტეს 3(სამი) წარმომადგენელს.

15.3 მატჩის დამთავრების მაუწყებელი ფინალური სასტვენის შემდეგ მწვრთნელმა, მწვრთნელის თანაშემწემ და გუნდის სხვა წარმომადგენელებმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ მოედანი და არ უნდა ეკამათონ მსაჯებს, კომისარს, მაყურებლებს.

მუხლი 16. მსაჯები, კომისრები და მსაჯ-მდივნები
16.1 ჩემპიონატის მატჩები ტარდება "ფიბა"-ს მიერ დამტკიცებული „კალათბურთის ოფიციალური წესების" და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
16.2 მატჩების სამსაჯოდ შეიძლება დაინიშნონ ს.კ.ე.ფ-ის შესაბამისი განყოფილებების მიერ, მოცემული სეზონისთვის მსაჯები, მსაჯ-მდივნები და კომისრები.
16.3 თითოეულ თამაშს ემსახურება ორი (ან სამი) მსაჯი, კომისარი და მსაჯ-მდივანთა ბრიგადა.
16.4 მატჩების მიმდინარეობისას მსაჯ-მდივანთა ბრიგადა შედგება მაქსიმუმ 8 წევრისაგან:
- მდივანი;
- დროის ოპერატორი;
- 24 წამის ოპერატორი;
- ტაბლოს ოპერატორი;
- მსაჯი-ინფორმატორი;
- ორი ან სამი მდივან-სტატისტიკოსი
16.5 მატჩის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 წუთისა კომისარმა უნდა შეამოწმოს გუნდის სერთიფიკატი და განაცხადში შეყვანილ მოთამაშეთა, მწვრთნელთა და სამედიცინო პერსონალის ფოტოსურათების შესაბამისობა მათ ვინაობასთან. თუ კომისარი თამაშზე დაუშვებს მოთამაშეს, მწვრთნელს ან სამედიცინო პერსონალს, რომლებიც არ არან შეყვანილი გუნდის განაცხადში, მაშინ მას მიეცემა დისკვალიფიკაცია ს.კ.ე.ფ-ის მსაჯთა განყოფილების და საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ დადგენილი ვადით.
16.6 მატჩის შემდეგ კომისარი ავსებს ანგარიშს დადგენილი ფორმით, უთითებს მასში დამრღვევებს, დებულების დარღვეულ მუხლებს, მსაჯ-მდივანთა მუშაობის ნაკლოვანებებს. იმავე ანგარიშში კომისარი ახასიათებს მსაჯებს და უწერს მათ შეფასებას.
დებულების დარღვევის ფაქტების დაფარვის შემთხვევაში კომისარი ჩამოშორდება ტურნირის მატჩების მომსახურებას ს.კ.ე.ფ - ის დადგენილი ვადით.
- თუ თამაშის მსვლელობის დროს დარბაზში ელექტროენერგიის მიწოდება რამდენჯერმე შეწყდება და გათიშვის საერთო დრო აღემატება 40 წუთს, თამაში შეწყდება, გადაიდება მეორე დღეს და დაიწყება გადადების მომენტისთვის არსებული ანგარიშიდან და დარჩენილი დროით.
- დარბაზში ხილვადობის არ ქონის შემთხვევაში მატჩის შეწყვეტის ან გაგრძელების გადაწყვეტილებას იღებენ უფროსი მსაჯი და კომისარი;
- შეხვედრის გადადებას, თავისი ხელმოწერით კომისრის ოქმში, ადასტურებს ორივე გუნდის მწვრთნელი;
-გასვლით მატჩებში გადადებული თამაშის შემთხვევაში გუნდის დაბინავებასთან და სხვა დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით პასუხისმგებელია მასპინძელი გუნდი.

თავი VII - ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

მუხლი 17. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა და დრო
17.1 სტუდენტური ლიგის (ა ლიგა) **2023-2024წწ. სეზონში მონაწილეობს 8 გუნდი:**
1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. თავისუფალი / აგრარული უნივერსიტეტი
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
4. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
5. საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი
6. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
7. ??- გუნდი გამოვლინდება ა და ბ ლიგების 2022-2023 წწ. სეზონის საკვალიფიკაციო რაუნდით
8. ??- ბ ლიგის გამარჯვებული გუნდი (გუნდი გამოვლინდება 2022-2023 წწ. სეზონის დასრულების შემდგომ)

სტუდენტური ლიგა ტარდება 2023 წლის 7 დეკემბრიდან 2024 წლის 15 ივნისამდე.

17.2 სტუდენტური ლიგა ჩატარდება ორ ეტაპად.
17.3 პირველი ეტაპი:
გუნდები ითამაშებენ 2 (ორი) წრედ, მიმოსვლით. ერთი მატჩი შინ და ერთი-სტუმრად.
- ორი წრის შედეგების მიხედვით 1-8 ადგილებზე გასული გუნდები გადიან პლეიოფში (მეოთხედფინალში).
17.4 მეორე ეტაპი:
სტუდენტური ლიგის **1-8 ადგილები** გათამაშდება პლეი ოფის სისტემით, ორი მატჩის ჯამში.

1/4 ფინალი
- მეოთხედფინალურ შეხვედრებში გამარჯვებული გუნდები გამოვლინდება **ორი მატჩის ჯამში.**
ორი (2) მატჩის ჩატარების წესი:
- თუკი გუნდები სერიაში თითო მატჩს მოიგებენ, უპირატესობა ბურთების შეფარდებას მიენიჭება.
- სერიაში დასაშვებია მატჩის ფრედ დასრულება.
- თუკი ორი მატჩის ჯამში გუნდებს ექნებათ ბურთების თანაბარი შეფარდება, დაინიშნება დამატებითი პერიოდი (პერიოდები) და სერიაში გამარჯვებულად გამოცხადდება გუნდი, რომელსაც დამატებითი პერიოდის (პერიოდების) დასრულების შემდეგ ექნება ბურთების უკეთესი შეფარდება.
I წყვილი: 1-8;
II წყვილი: 2-7;
III წყვილი: 3-6;
IV წყვილი: 4-5.

- მეოთხედფინალში დამარცხებული გუნდები თამაშობენ პლეი აუტს 5-8 ადგილების გამოსავლენად.გუნდები თამაშობენ სერიას 2 (ორ) მოგებამდე.
- I წყვილის დამარცხებული - IV წყვილის დამარცხებული;
- II წყვილის დამარცხებული - III წყვილის დამარცხებული;
- **ზემოთ აღნიშნულ წყვილებში (პლეიაუტში) დამარცხებული გუნდები გაითამაშებენ 7-8 ადგილებს. გუნდები თამაშობენ სერიას 3 (სამ) მოგებამდე.**

1/2 ფინალი
გუნდები თამაშობენ სერიას 2 (ორ) მოგებამდე.
- I წყვილის გამარჯვებული - IV წყვილის გამარჯვებული;
- II წყვილის გამარჯვებული - III წყვილის გამარჯვებული;

ფინალი
ნახევარფინალურ წყვილებში **გამარჯვებული გუნდები გაითამაშებენ I- II (პირველი, მეორე) ადგილებს;**
ხოლო **დამარცხებული გუნდები გაითამაშებენ III- IV (მესამე, მეოთხე) ადგილებს.**

- დაწყვილებული გუნდები I- II (პირველი, მეორე) ადგილისთვის ითამაშებენ პლეი-ოფის სისტემით სამ მოგებამდე,ხოლო მე-3 ადგილისთვის - ერთ მოგებამდე.

17.5 გუნდი, რომელიც დაიკავებს პირველ (1-ელ) ადგილს, მოიპოვებს მომავალი, 2024-2025 წლების "ა" ლიგის სეზონში ასპარეზობის უფლებას.

შენიშვნა: *უმაღლესი სასწავლებლის ის გუნდები, ჰომლებსაც ჰყავთ სუპეჰლიგაში, ან "ა" ლიგაში გუნდი, პიჰველი ადგილის დაკავების მიუხედავად, ვეჰ მოიპოვებენ ზედა ლიგის ("ა" ლიგა) საგზუჰს. ასეთ შემთხვევაში ზედა ლიგის ("ა" ლიგა) საგზუჰი გადაეცემა ჰიგითობის მიხედვით მომდევნო საუკეთესო გუნდს, ჰომელსაც აჰ ჰყავს ზედა ლიგებში ("ა" ლიგა, სუპეჰლიგა) გუნდები.*
17.6 ჩემპიონატის ბოლო, მე-8 ადგილზე გასული გუნდი გადაინაცვლებს სტუდენტური ლიგის „ბ" ლიგაში, ხოლო „ბ" ლიგის გამარჯვებული პირდაპირ მოიპოვებს ჩემპიონატის შემდეგი სეზონის (2023-2024) საგზურს.
17.7 ჩემპიონატში მე-7 ადგილზე გასული გუნდი საუნივერსიტეტო, „ბ" ლიგის მე-2 ადგილზე გასულ გუნდთან ითამაშებს საკვალიფიკაციო რაუნდს პლეი ოფის სისტემით 3 (სამი) მოგებამდე სტუდენტური ლიგის მომდევნო სეზონის (2024-2025) საგზურის მოსაპოვებლად.

თავი VIII - "ს.კ.ე.ფ"-ის და კლუბების (გუნდების) ხარჯები ტურნირის ჩატარებისას

მუხლი 18. "ს.ს.ს.ფ"-ის და ს.კ.ე.ფ.-ს ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას
ს.ს.ს.ფ. და "ს.კ.ე.ფ" ანაზღაურებს:
18.1 ტურნირისთვის საჭირო თბილისის საკალათბურთო დარბაზების იჯარის ხარჯებს.
18.2 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივანთა ბრიგადების მგზავრობის და მატჩის მომსახურების ხარჯებს.
18.3 სხვა საჭირო საორგანიზაციო ხარჯებს.

მუხლი 19. კლუბის (გუნდის) ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას
კლუბი (გუნდი) ტურნირის ჩატარებისას იხდის:
19.1 გუნდის მივლინების ხარჯებს ტურნირის მატჩებზე.
19.2 სტუმარი გუნდი - იმ ტრანსპორტის ხარჯებს, რომელიც სტუმარ გუნდს დახვდება სადგურში (აეროპორტში), მიიყვანს სასტუმროში, ვარჯიშზე, მატჩზე და უკან სასტუმროში, სადგურში (აეროპორტში).
19.3 სტუმარი გუნდისთვის, მსაჯებისა და კომისრისთვის განკუთვნილი მინერალური წყლის ხარჯებს.
19.4 მასპინძელი გუნდი ვალდებულია აანაზღაუროს მსაჯების, კომისრის, საჭიროების შემთხვევაში მსაჯ-მდივნების 2 (ორი) დღე-ღამით სასტუმროში მიღების და 3-ჯერადი კვების ხარჯები.

თავი IX - დისციპლინარული დარღვევები და სასჯელები

მუხლი 20. დისციპლინარული დარღვევები და სასჯელები
დისციპლინარული სასჯელის ზომას დებულებით დადგენილ ფარგლებში განსაზღვრავს "სადისციპლინო ტექნიკური კომისია".
- გუნდის წარმომადგენლებს: მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მწვრთნელთა თანაშემწეებს, სამედიცინო პერსონალს და გუნდის სხვა თანმხლებ პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ქცევის წესების დაცვაზე მატჩამდე, მატჩის მსვლელობისას და მატჩის დამთავრების შემდეგ.
წესების დარღვევისათვის დადგენილია შემდეგი სასჯელები:
- თუ გამოვლინდა რომ გუნდის წევრს არ გააჩნია სტუდენტის მოქმედი სტატუსი, მოთამაშე დისკვალიფიცირებული იქნება ერთი წლით, გუნდს ჩაეთვლება წაგება იმ თამაშებში, რომელშიც მიიღო მონაწილეობა ამ მოთამაშემ, ასევე მწვრთნელს ერთი წლით აეკრძალება გუნდის ხელმძღვანელობა "ს.ს.ს.ფ."-ს ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში.
20.1 თამაშში ულიცენზიო მოთამაშის მონაწილეობისათვის გუნდს ჩაეთვლება წაგება „თამაშის უფლების ჩამორთმევით" ანგარიშით 0:20 და დაეწერება 0 ქულა.
20.1.2. ტექნიკური ჯარიმისთვის მოთამაშე ან მწვრთნელი მატჩის მსვლელობისას დაჯარიმდება სტანდარტულად, ხოლო ჩემპიონატის მსვლელობისას 8 ტექნიკური ჯარიმის დაგროვების შემთხვევაში, მოთამაშეს ან მწვრთნელს შეუჩერდება მიმდინარე ჩემპიონატში მონაწილეობის ლიცენზია.
შენიშვნა: სანქცია აჰ ვჰცელლება იმ ტექნიკუჰ ჯაჰიმებზე, ჰომლებსაც მოთამაშეები მიიღებენ ეგჰელ წოდებული „ფეიკისთვის" (Fake).
20.2 შეურაცხყოფა სიტყვით ან ჟესტით:
20.2.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების, მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია ორ (2) თამაშამდე.

20.2.2 სეზონის განმავლობაში განმეორებითი დარღვევისთვის – დისკვალიფიკაცია ორიდან (2) ოთხ (4) თამაშამდე.
20.2.3 სეზონის განმავლობაში მესამე მსგავსი დარღვევისთვის – დისკვალიფიკაცია ხუთიდან (5) ათ (10) თამაშამდე.
20.3 ფიზიკური შეურაცხყოფა:
20.3.1 "შეურაცხმყოფელი ფიზიკური კონტაქტი"
20.3.1.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ – დისკვალიფიკაცია ორიდან (2) ხუთ (5) მატჩამდე.
20.3.1.2 მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია ოთხ (4) თამაშამდე.
20.3.2 "უხეში ფიზიკური შეურაცხყოფა":
20.3.2.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ – დისკვალიფიკაცია ხუთიდან (5) ათ (10) მატჩამდე.
20.4 მსაჯის მიერ თამაშიდან გაძევებული მოთამაშე, მწვრთნელი, მწვრთნელის თანაშემწე ან გუნდის თანმხლები პირი ავტომატურად ექვემდებარება დისკვალიფიკაციას მომდევნო ერთი თამაშით, თუ დანაშაულის სიმძიმე არ ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს.
20.5 იმ შემთხვევაში, თუ დისკვალიფიკაციის ვადა აღემატება სეზონის ბოლომდე გათვალისწინებული კალენდარული თამაშების რაოდენობას, დარჩენილი სასჯელი გადადის მომდევნო სეზონში.
20.6 გუნდის ოფიციალური პირების (ხელმძღვანელობა, მენეჯერი) არასპორტული ქცევა:
20.6.1 მუქარა, დაშინება ან არასპორტული ქცევა მეტოქის, მაყურებლის, მსაჯების, კომისრის ან მსაჯ-მდივანთა მიმართ – ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარი.
20.6.2 სეზონის განმავლობაში იგივე დარღვევის განმეორებისათვის – ჯარიმა 1000 (ათასი) ლარი.
20.7 იმ შემთხვევაში, თუკი გუნდი არ გამოცხადდება ან უარს იტყვის თამაშზე ან თამაშის გაგრძელებაზე:
-პირველი დარღვევისთვის – გუნდს ჩაეთვლება წაგება „უფლების ჩამორთმევით".
-იგივე დარღვევის განმეორებისას გუნდს ეძლევა დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე.
20.8 დისციპლინური დარღვევის შემთხვევები და მათ გამო გასატარებელი სასჯელები, რომლებიც არ არის მოყვანილი 20-ე მუხლში, განიხილება ს.ს.ს.ფ-ს გამგეობის მიერ.
20.9 განსაკუთრებულ შემთხვევაში ს.ს.ს.ფ-ს სადისციპლინო-ტექნიკური კომისია უფლებამოსილია, თავის შეხედულებისა-მებრ, გაზარდოს ან შეამციროს სასჯელი დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით.
20.10 ზემოხსენებული ჯარიმების არადროულად გადახდაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება გუნდის (კლუბის) ხელმძღვანელობას.

თავი X - პროტესტი

მუხლი 21. პროტესტის შეტანის წესი
21.1 პროტესტი ს.ს.ს.ფ-ში შედის წერილობითი ფორმით და „კალათბურთის ოფიციალურ წესებში" ჩამოყალიბებული პროცედურების დაცვით.
21.2 პროტესტის შემტანი გუნდი იხდის წინასწარ თანხას 200 (ორასი) ლარის ოდენობით. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება გუნდს.
21.3 გუნდის პროტესტის განხილვის პირველ ინსტანციას წარმოადგენს ს.ს.ს.ფ-ს სააპელაციო კომისია.
21.4 თუ გუნდი არ ეთანხმება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, პროტესტს განიხილავს ს.ს.ს.ფ-ს გამგეობა.
ამ შემთხვევაში წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა იზრდება 400 (ოთხასი) ლარამდე.
პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება გუნდს.

თავი XI - ფინანსები, დაჯილდოება.

მუხლი 22. ფინანსები, დაჯილდოება
22.1. საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია გაიღებს შემდეგ ხარჯებს:
- ჩემპიონატის კოორდინატორების ხარჯები.
– ჩემპიონატის მონაწილეთა მწვრთნელებისა და მოთამაშეებისთვის სხვადასხვა სამახსოვრო პრიზების ხარჯებს:
22.2 საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია გაიღებს შემდეგ ხარჯებს:
- სპორტული ბაზების იჯარა თბილისში;
- მსაჯების, კომისრის და მსაჯ-მდივანთა ბრიგადის მგზავრობისა და თამაშის მომსახურების ხარჯები;
- მსაჯების, კომისრის, საჭიროების შემთხვევაში მსაჯ-მდივნების 3 (სამი) დღე-ღამით სასტუმროში მიღების და სამჯერადი კვების ხარჯები.
- ტურნირის გახსნის, კენჭისყრის, დახურვის და დაჯილდოების ცერემონიალისთვის საჭირო ვიზუალური შეფუთვის, ატრიბუტიკის, პოლიგრაფიის, დიზაინერისთვის საჭირო ხარჯები;
- გათამაშების მონაწილეთა მწვრთნელებისა და მოთამაშეების, მატჩების დროს გამართული სხვადასხვა საშეჯიბრო კონკურსის მონაწილეების დაჯილდოებისა და მაყურებელთათვის სხვადასხვა სამახსოვრო სუვენირების (თასი, სიგელი, მედალი, მაისურები) დამზადების ხარჯები;
22.3 გუნდის ხარჯები ტურნირის ჩატარებისას
- ტურნირის თამაშებზე სხვა ქალაქში მივლინების ხარჯებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.
22.4. გუნდი, რომელიც ჩემპიონატში დაიკავებს პირველ ადგილს, ენიჭება სტუდენტური ლიგის 2022-2023 წლის ჩემპიონის ტიტული.
22.4.1. ჩემპიონი გუნდის მოთამაშეები, მწვრთნელი, მწვრთნელის თანაშემწე და ექიმი ჯილდოვდებიან ოქროს მედლებით, არაუმეტეს 18 კაცისა.
22.4.2. მე-2 და მე-3 ადგილზე გასული გუნდების მოთამაშეები, მწვრთნელები, მწვრთნელის თანაშემწეები და ექიმები ჯილდოვდებიან შესაბამისად ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით, არაუმეტეს 18 კაცისა თითოეული გუნდიდან.
22.4.3. სტუდნეტური ლიგის გამარჯვებული გუნდი დამატებით მოიპოვებს მომავალ, 2024-2025 წლების "ა" ლიგის სეზონში ასპარეზობის უფლებას.